ნათია ქორქაშვილი

ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი (METU), თურქეთი

Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ნათია ქორქაშვილმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კვირეულის პროგრამაში. რომელსაც ახლო აღმოსავლეთის ტექნიკური უნივერსიტეტი მასპინძლობა.

საერთაშორისო კვირეულის პროგრამას ესწრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები. კვირეული გაიხსნა უნივერსიტეტების შესახებ პრეზენტაციების წარდგენით და გაგრძელდა დაგეგმილი სამუშაო შეხვედრებით. ვიზიტის ფარგლებში, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, სადაც პარტნიორმა უნივერსიტეტებმა ერთმანეთს გამოცდილებები გაუზიარეს, ასევე, განიხილეს საუნივერსიტეტო გამოწვევები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები. მოეწყო კამპუს ტური, რომელიც მოიცავდა მრავალფეროვანი კვლევითი ცენტრებისა და "METU"-ს ბაზაზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაცნობას. ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ისაუბრეს აღნიშნული აღჭურვილობის მნიშვნელობაზე სასწავლო პროცესში და სტუდენტების იმ მიღწევებზე, რომლებიც სწორედ ამ რესურსების გამოყენებით იქნა მიღწეული.

საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, არც ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების მონახულება დარჩენილა ყურადღების მიღმა. არაფორმალურმა შეხვედრებმა მონაწილეებს შესაძლებლობა მისცა, განეხილათ ახალი იდეები და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ემსჯელათ.